№ 6 10 Იანვარი, სამშაბათი 1866—1878 10 Იანვარი, სამშაბათი № 6

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ბაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1878 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ

მომავალ წელსაც „დროება“ მუდამ დღე გამოვა,

გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდედ დღეებისა.

ხელის-მოწერა

Თფილისში—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში).

Ბარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა	8 მან.	„	კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50	„
ოთხის თვისა	3 „	„	„

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება მომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება.

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწელებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ

(Ოფიციალური)

შიპკა, 6 Იანვარს. 3 იანვარს საღამოზე გაცხარებული ბრძოლის შემდეგ Ყადიკიოსთან, Აირაკლისთან და Ფილიპოპოლთან, ღენ. Ბურკოს ჯარმა დაიჭირა Ფილიპოპოლი. საქმე ამგვარათ. მოხდა: შუვალოვმა ლეიბ-გრენადერებით და ბრიგადებით წავიდა Აკაკიოიდამ, გადავიდა მდ. მორიცი და შეეტაკა ოსმალოს ძადიკიოისთან. ამ დროს ღენ. შულდნერი Შინლიანდიის პოლკით წავიდა ძურანკიოიდამ Აირაკლიზე; გვიან საღამოზე ამ კოლონამ შემოუარა მარჯვენა მხარე ოსმალოს ჯარსა. ბარონ ძრიდნერი 3 გვარდიის ქვევითა დივიზიით გავიდა ჩალოპციდამ და დაიჭირა ერთი ნაწილი Ფილიპოპოლისა.

რადგან ღამე იყო, ოსმალოებმა ვერ შენიშნეს ჩვენი ჯარების სიცოტავე და დაფთხობილნი გაიქცნენ. ამავე დროს გრ. შუვალოვმა Ყადი-ძიოიდამაც გააქცია ოსმალოს ჯარი, რომელიც აქ 40 ტაბორდიამნ იყო; მეორე ნახევარი მტრის ჯარისა, რომელსაც თვითონ სულეიმან-ფაშა მიუძღოდა წინ 3 იანვარზე ადრე დაბრუნდა Ადრიანოპოლში. მთებისაკენ გაქცეული ოსმალოს ჯარის გზის გადასაჭრელა ღენ. Ბურკომ გაგზავნა ღენ. სკობელევი და თვითონ კი 4 იანვარს შევიდა Ფილიპოპოლში და პარაკლისი გადაიხადა.

ჩვენი ზიანი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი; მაგრამ დიდი არ უნდა იყოს.

4 იანვარს ჩვენებმა დაიჭირეს სლივენი. Ომსალებმა მიატოვეს Იამბოლი და Ადრიანოპოლისაკენ დაიწიეს.

მართალია, რომ სულეიმან-ფაშამ ბრძანება გამოსცა, ყველაფერი დასწვით და აიკლეთო: Თათარ-ბაზარჯიყი აკლებულია ოსმალებისაგან და სანახევროდ გადამწვარი; Ფილიპოპოლი ჩვენებმა დაიცვეს.

შიპკა, 7 Იანვარს. მოსკოვის დრაგუნებმა 3 იანვარს Ტირნოვოს სტანცია აიღეს; მეორე დღეს ხერმანლი. Ამბობენ, რომ სულეიმან-ფაშა თავის ჯარით ამ ჟამად პაპადლისთან არისო.

შიპკა, 7 Იანვარს. 5 იანვარს ხერმანლიში მოვიდნენ Ოსმალეთის მთავრობისაგან მორიგების თაობაზე მოსალაპარაკებლად გამოგზავნილი პირები: სერვერ-ფაშა, ნამიკ-ფაშა, ნესრნიმ-ფაშა და Ოსმან-ფაშა; ხვალ მოველი ამათ Ყაზანლიყში.

ფოთი, 7 Იანვარს. ქერჩიდამ Ფოთისაკენ წამოვიდა რუსის ხომალდი მარილით დატვირთული; Ანაკლიამდი მშვიდობით მივიდა; აქედამ კი, ცუდი ტაროსის გამო, ველარ დაიძრა. დღეს ღამით აქედამ გაგზავნილი იყო იმის მოსაყვანათ ხომალდი „ბაბუშკა“, რომელმანც შეასრულა თავის მინდობილობა.

—

ღენერალ-მაიორის ძომაროვის ატრიადი 1 იანვარს გაელაშქრა Არდანუჯიდამ Ართვინისაკენ; გზაზე გამაგრებულს პოზიციებში მყოფ დიდძალ მტერთან ჰქონდა რამდენიმეჯერ შეტაკება, მაგრამ მაინც აიღო ბირგოხოტანის მთები, საცა მტერი ძალიან გამაგრებული იყო.

მტერმა დიდი ზიანი მიიღო; ჩვენის მხრით კი 10 კაცი მოკლულია და 11 დაჭრილი.

კოსტანტინოპოლი 7 Იანვარს. „ჰავასის სააგენტოში“ იწერებიან, რომ Ოსმალოებმა ხელი აიღეს Ადრიანოპოლის დაცვისაგან და წაიყვანეს აქადამ ყველა ჯარებიო; წაიღეს აგრეთვე ზარბაზნებიცაო; დაუტოვებიათ მხოლოთ 82 ჟანდარმი ქალაქში მშვიდობიანობის დასაცველად იმ დრომდინ, როდესაც რუსის ჯარები შემოვლენო.

დღეს დილით Ადრიანოპოლიდამ გამოვიდნენ რკინის გზით დიდძალი ხალხი ადგილობრივი მცხოვრებლები და უცხო ქვეყნელები.

ბუშინ რუსის მთავარ კვარტირაში მოვიდნენ Ოსმალოს დანდობილი პირნი დროებით მორიგების თაობაზე მოსალაპარაკებლად.

სამხედრო სამინისტრომ შეადგინა კამისია, რომელმანც უნდა გამოიანგარიშოს—თუ რამდენი ხალხია კიდევ Ოსმალეთში ომში გაუყვანელი და რომელმანც ყველა ხონთქრის ქვეშევრდომი უნდა გაიყვანოს ბრძოლის ველზე, ვისაც კი თოფის ხმარება შეუძლიან.

ვენა, 8 ინვარს. მართალი არ გამოდგა ის ხმა, რომ ვითომც ავსტრიას განზრახვა აქვს თავის ჯარებით დაიჭიროს ბოსნია და ჰერცოგოვინა. მეორე მხრით ამბობენ, რომ ინგლისს ოსმალეთისათვის უთხოვნია, რომ დარდანელის და ბალიპოლის დაჭერის ნება მისცეს, მაგრამ ოსმალეთმა უარი განაცხადა.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

ბერლინის გაზეთს „Post“-ს ამბავი მოსვლია სტამბოლიდამ 24 დეკემბერს, რომ ჩერიკ-ფაშა ვანში აგროვებს ახალ ჯარს არზრუმის მისაშველებელათაო.

—

ბაზეთის „Times“-ის კორრესპონდენტი შემდეგ ამბავს იწერება ბათუმიდამ:

„ამბობენ, რუსები ყოველ ღონისძიებას მოიხმარენო, რომ, სანამ მორიგებაზე ლაპარაკი ჩამოვარდება, ბათუმი აიღონო. მაგრამ ეს ჩინებული ნავსადგური ისეთ ნაირად არის ოსმალოებისაგან გამაგრებული, რომ იმის აღება, ამ ზამთარში მაინც, რუსებს ვერ შეუძლიანთ.

„ბუშინ მე ვიყავი დერვიშ-ფაშის ბანაკში ციხის-ძირთან და დავრწმუნდი, რომ ის ძალიან კარგათ მოქცეულა, რომ ხუც-უბნიდამ აქ გადმოუყვანია თავის ჯარები.

„დერვიშ-ფაშის ჯარებს, რიცხვით 35,000 კაცს (?), უჭირავს რამდენიმე ძლიერი ქედი, ხუც-უბანსა და ბათუმს შუა, რომელთაც აღება თითქმის შეუძლებელია, ისე კარგათ გამაგრებულან აქ ოსმალოები. ამ ჯარს თავისუფლად მოუვა სურსათი და სხვა ყველაფერი, ბათუმიდამ, ზღვით.

ოსმალოს ჯარები აქ ძალიან მხნეთ არიან: იმათში არავითარი ავათმყოფობა არ არის გავრცელებული. ამას გარდა თვითონ ხალხიც დაიარაღებულია და ყველა გზებში უყარაულებს ხალხს. აქაურ ადგილობრივ ხალხს — ლაზებს ძალიან სძულთ რუსები და გაცხარებით იბრძვიან იმათ წინააღმდეგ.

—

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, ფოთიდამ რამდენიმე მეგრელი გადასულა ოსმალოებისაკენ. ეს ამბავი, რასაკვირველია, ძნელად დასაჯერებელია.

„ბობარტ-ფაშას ემდურიან, რომ ის თავის ჭლოტით თითქმის უსაქმოდ დგას და არაფერში არ დაეხმარა ოსმალეთს ამ ომში. ამის გამო ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში ის უფრო ენერგიულად შეუდგება შავი ზღვის ნაპირა ქალაქების ზარბაზნების დაშენას და აოხრებას.“

—

„ძავკაზის“ უკანასკნელს ნობერში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 6 იანვარს ყარსიდამ მიღებული:

„ღენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვი ჯერ კიდევ არზრუმთან არის. ღენ. ძომაროვი კი არდანუჯშია, სადაც რუსის მთავრობა დაწესდა.“

—

ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps“-ში იწერებიან არზრუმიდამ:

„რუსები არზრუმის გარშემო აგროვებენ თავიანთ ჯარებს. ტრაპიზონის გზა შეკრულია ახლა იმათგან.

„არზრუმის ჯარებსა და მცხოვრებლებს იმდენი ხორაგი აქვთ მოგროვილი რომ დიდხანს შეუძლიანთ გაძლება.

„დღეს, 21 დეკემბერს, არზრუმის ქუჩებში ერთის ამბით ჩამოატარეს ჰალილ-ომარის წმინდა ბაირაღი და შემდეგ აზიზიეს ციხეში დაასვენეს.

„აქეთკენ ამ ჟამად ჩინებული დღეები დადგა

—

არზრუმელი კორრესპონდენტი „Daily News“-ისა იწერება შემდეგ ამბავს:

„ჩვენ აქ 7,000-მდინ ავათმყოფი გვყავს; ოთხი ათასი ავათმყოფი გაგზავნილია ერზინგიანში და სივასში.

„რუსები დევე-ბოინთან დგანან; იქიდამ ხანდისხან ისმის ზარბაზნის სროლა.

„შმთავრესი ძალა რუსებისა ჰასსანძალეშია და დევე-ბოინის გარეშე სოფლებში. ეს ჯარი შეადგენს ორს კალონას; ერთი კალონა ნელ-ნელა ჩამოდის ოლთისის ბარში და კიდეც მოუახლოვდა ექვსი საათის სავალზედ არზრუმს; მეორე კალონა დგას სოფ. ბონსში, პალანტოკენის მთების უკან; ისინიც ექვსი საათის სავალზე არიან არზრუმიდამ.

„ეს ჯარი, როგორც სჩანს, სცდილობს შემოერტყას არზრუმს ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრით და შეერთდნენ ტრაპიზონის გზაზე, არზრუმსა და ოოპდაგს შუა. ამ დროს მეორე ჯარი დევე-ბოინთან სცდილობს გააჩეროს არზრუმის არმია.

„ქრისტიანებსაც მისცეს აქ თოფი ხელში ქალაქის დასაცველათ. ოსმალოს სალდათებმა გადასწვეს სოფლები, რომე, ლიც იმყოფებოდა ოლთისის ბარის გამოსავალზე, რომ დაუშალონ რუსებს თავ-შეფარება და ცხენების სარჩოს შოვნა. სოფლების ხალხი მიდის თავ-შესაფარა ვათ ქალაქებში.

„აქ მშვიდობიანობაა ყველგან; არცერთი არზრუმის მცხოვრები არ იფიქრებს, რომ ის იმყოფება მტერით გარშემორტყმულ ქალაქში. ვგრძნობთ ცოტა უშეშობას, რადგან სალანლუღის ტყეებიდამ გზა მოწყვეტილია. ვანთებთ გამხმარ სასუქს (წივას) და კიდევ მოგვაქვს შეშა სოფ. ერზინგიანიდამ. ბახიზნული მცხოვრებლების სახლებს ანგრევენ, რომ ჯარს ასანთობი შეშა მისცენ. პური და ხორცი ბლომათ გვაქვს, მაგრამ ტრაპეზონის გზა თუ შეჰკრეს, მაშინ კი სარჩო ძალიან მოგვაკლდება.“

ევროპის ბრძოლის ველიდამ

ვენის გაზეთის „Presse“-ის გამოანგარიშებით, რუსებს, სერბიელებს, ჩერნოგორიელებსა და რუმინებს ერთის მხრით და ოსმალოებს მეორეს მხრით ამდენი ჯარები ჰყავთ ევროპის ბრძოლის ველზე:

„ვიდდინთან 20,000 კაცი სერბიისა და რუმინიის; ნიშთან და სოჭიაში არის 13,000 სერბიელი; ღენ. ბურკოს კორპუსი სოჭიასთან—50,000; საკუთრივ დ. მ. ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძის არმია ტირნოვოსთან—130,000; მდ. ლომას (მემკვიდრის) კორპუსი—70,000; დობრუჯუს კორპუსი (ღენ. ციმერმანის)-50,000 კაცი.

„ამ ჯარის წინააღმდეგ ოსმალოებს შემდეგი ჯარები ჰყავთ: ვიდინთან, და ნიშთან—30,000 კაცი; შიპკოსა და ადრიანოპოლის კორპუსი—80,000; ბოლგარიის ოთხ-კუთხედში (ციხეებში: რუსჩუკში, ვარნაში, შუმლაში და სილისტრიაში)—60,000 კაცი

„ამნაირად რუსებსა და იმათ მომხრეებს ჰყავთ სულ 340,000 და ოსმალოებს კი მხოლოთ—190,000 კაცი.“

—

რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში სევასტოპოლიდამ იწერებიან 30 დეკემბერს, რომ ჩვენი ქალაქის პირ-და-პირ ჯერ კიდევ ოსმალოს ორი ჯავშნიანი ხომალდი არის გაჩერებულიო და როგორც ამბობენ, ეს ხომალდები რუსის ცეცხლისგემს „რუსეთს“ უყარაულებენო.

—

ბელგრადელი კორრესპონდენტი ლონდონის გაზეთის „Times“-ისა გვაცნობებს, რომ რუსეთმა 40,000 კაცი ჯარი კიდევ მოსთხოვა სერბიას დასახმარებელადაო.

—

იმ სიტყვაში, რომლითაც სულთანს თავის ახალი სამინისტროსათვის მიუმართავს, სხვათა შორის შემდეგი ალაგია მოყვანილი:

„ომის დაწყებისათანავე ჩვენმა მხნე არმიამ რამ დენიმეჯერ დაამარცხა მტერი; მაგრამ შემდეგ კი საქმე სხვანაირად წავიდა და ეს მიეწერება ჩვენი არმიის სარდლების შეცდომას; გათავდება თუ არა ეს ომი, ეს სარდლები სამართალში იქნებიან მიცემულნი და მაშინ დამტკიცდება, რომ ჩვენი ჯარების დამარცხება მხოლოთ იმათი ბრალია.“

—

ოსმალოს სამხედრო რჩევას გადაუწყვეტია, რომ ადრიანოპოლის დაცვა ჩვენ არ შეგვიძლიანთო, და ამის გამო განკარგულება მოუხდენიათ, რომ მცხოვრებლებს მიეტოვებინათ ეს ქალაქი.

—

„ჰავასის სააგენტო“ გვაცნობებს, რომ იმ სამინისტრო რჩევაში, რომელიც 30 დეკემბერს ყოფილა სტამბოლში, მინისტრებთა შორის მუხთარ-ფაშაც დასწრებია.

—

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში იწერებიან 1 იანვარს სტამბოლიდამ:

„ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა შემდეგის პირობები წარუდგინოს რუსეთს: დროებით მორიგების ვადა იქნება ექვსი კვირა,—მებრძოლთ ჯარები იმავე ალა-

გებზე დარჩებიან ამ დროს, საცა ახლა დგანან,—სანამ დროებით მორიგების ვადა გავა, მოწინააღმდეგეებმა სამუდამოთ მორიგების ჩამოგდებაზე უნდა დაიწყონ მოლაპარაკება.“

საქართველო

დღიური

*** ჩვენ შეიტყეთ, რომ საქმე ანდრეევსკის ქალის მკვლელობის თაობაზე მომავალ 27 ფებერვლისთვის არის დანიშნული. ამ დღისთვის არიან სასამართლოში ყველა მოწმეები დაბარებული.

*** ღამით 9 იანვარს ბუდაურის სტანციაზე მოვიდა ერთ არშინზე მეტი თოვლი და ამის გამო გზა შეკრულია და რუსეთის ფოჩტა გაჩერდა.

*** ქ. ახალქალაქიდამ გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, რომ აქეთკენ ყოველის მხრით ამჟამად სრული მშვიდობიანობა არისო; მაგრამ ხალხი ცოტა არ იყოს აალელვა უმაღლესი მმართებლობის ბრძანებამაო, რომ ვისაც ოსმალოს თოფი აქვს, უნდა წარმოადგინონ და მაგიერად ხაზინიდამ 6 მანეთს მიიღებენო. ამისთანა თოფები აქეთკენ თითქმის ყველა ოჯახში მოიპოებაო და ყველას ეძნელება იმის შელევაო ერთი იმიტომ, რომ თათო ოსმალოს თოფი უკანასკნელი 80—100 მანეთი ღირსო და მეორეც იმიტომ რომ, დღეს თუ არა ხვალ საჭიროებას დაინახვენო.

კორრესპონდენტი გვწერს, რომ ოსმალოს თოფები ჩვენს ჩინოვნიკების და მდიდარი ეჯარების ხელში ძალიან ბევრიაო, მაგრამ იმათ ჩვენი პრისტავი ვერ ართმევსო და უბრალო ხალხს კი ართმევსო.

*** ჩვენ მივიღეთ ქახეთიდამ შემდეგი ამბავი:

„ამ დღეებში ნაფარეულის სკოლაში მოსწავლე ღარიბი ქალებისათვის შესაწევათ ვთხოვეთ რამოდენიმე კეთილ პირებთ, რომლებმაც ენერგიულათ აღმოაჩინეს დახმარება შიშველ მოსწავლე ქალებისადმი; რაისათვისაც დიდს მადლობას ეწირავთ ყველა დამხმარებლებს და განსაკუთრებით უფ. ს. მ. მირიმანოვს, რომელმაც 18 ქალის სრული ზაფედენიის ფორმის ტანისამოსი იკისრა.“

*** გაზეთის „ბაქოს ცნობების“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია, რომ ვიღაც ამ გაზეთის რედაქტორის უფ. სტ. ბულიშამბაროვის მოკლეა განუზრახავს; რევოლვერი უსვრია ფანჯრიდამ იმ განზრახვით რომ უფ. რედაქტორისათვის მოერტყა, მაგრამ დაუცილებია.

ხსენებული გაზეთი ამბობს, რომ ამ საქმის თაობაზე ამჟამად გამოძიება არის დანიშნულიო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ყვირილიდამ ამაღლებამდინ, (მგზავრის შენიშვნები), 4 იანვარს. დაბა ყვირილიდამ, რომელიც შორაპნის უეზდშია, სოფელს ამაღლებამდის (ჭუთისის უეზდში) იქმნება თითქმის სამოც ვერსამდე. მე შემხვდა ერთი საქმისათვის მოგზაურობა ყვირილიდამ ამაღლებამდის და მინდა თქვენც გაგიზიაროთ ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე მოახდინა ზოგიერთი ამბების გაგებამ და საგნებმა.

ყვირილიდამ გზა გაიელის სვირის, ოქუჩის, დიმის, როხის სოფლებში და სადემეტრეოში და მიდის თითქმის თვით ორპირამდინ. ეს გზა ის არის, რომელიც ამ მოკლე ხანში გლეხებს გაუკეთებინეს. გზა იმდენათ ფართო და სწორია, რომ ფაიტონითაც კარგათ შეიძლება სიარული; ქვიშა ყველგან არ არის მოყრილი, თორემ ჩვენ შოსსეს გზებს არ ჩამოუარდება. თითქმის თუთხმეტ ვერსტზე მოყრილია ქვიშა. მაგრამ ქვიშა ასე სოფლის საფეროთ არის აქა-იქ. ოქუიალურ ქალაქებში რომ იქნება მოხსანებული, რასაკვირველია, იმდენათ არ არის მოყრილი!.. ძლიერ სასიამოვნო კი არის, მართლა, იცოდეს კაცმა რა არის დახარჯული ამ ქვიშის დაყრისათვის...

სად არის მოთავე კაცი თორემ ყოველ სოფლებში გაიყვანს კაცი ამისთანა გზებს რომელითაც ჩვენ გლეხებს დიდი შემსუბუქება მიეცემა. ამას კი ვიტყვი რომ ეს ჩვენი სოფლის გზების გაკეთება რომ იჯარით გაეცათ ყველა უეზდებში, იმ ფულით, რაც ფულები ამ საგანზე დაიხარჯა, ერთი ათათ უკეთესი და ხუთჯერ მეტი გზები გაკეთდებოდა. მაგრამ როდის ელირსება ამ ანგარიშს კაცი ჩვენში? რაც არის გაკეთებული, კარგია, მაგრამ ნუთუ ამაზე ბევრი გზა არ გაკეთდებოდა იმდენი ათასი მანეთით!

ამ მოგზაურობის დროს ენახე უ. ანანოვის ტყე, რომელშიაც თითო უშველებელი მუხის ხე თითო შაურად უჯდისო და რომელშიც თითოში თუმანიც რომ მისცე, არ მოგცემსო..

ორი შესანიშნავი და სასარგებლო ტყე არის იმერეთში აჯამეთისა და ორიე სხვის ხელშია. ვანა არ შეეძლო ჩვენ თავადებს და აზნაურებს შემდგარიყვენ ერთად და ის ტყე ხელიდამ არ გაეშვათ? მაგრამ სად არის იმდენი მოხერხება ჩვენში? ჩვენი ბატონები სხვის შეძენას კი არა, რომელიც აქვსთ, ნეტავი ისიც არ გაუშვან ხელიდამ. უოველი კაცი აღგილს ყიდის და ვინ იცის—რა ბოლო მოელისთ მათ!..

ვნახე ჩვენი მილიცია ბაღდათში დამდგარი. მკრეთვე ენახე ამაღლების სოფელში დამდგარი მილიცია ცხენოსანი და ქვეითი, რომელთა დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ აჭარლები არ მოუშვან სოფლებზე დასაცემათ.

ისინი დგანან მთის ძირად. ღვეს მთაზე დიდი თოვლია ასე, რომ არაფერ მტერს არ შეუძლია გადმოსვლა ამ მთა ზე ეხლა. მიკვირს რასაჭიროა აქ ცხენოსანი ჯარი? მთაზე ქვეითი კაცი ძნელად შევა და ვინიცობა არის, რომ მტერი გადმოვიდეს, განა ცხენებით გამოუდგება ამ მთაზე მილიცია? ამ ზაფხულში ცხენები მილიციონერებს მთებზე ყვანდათ გაშვებული საბალახოთ და ისე დაასუქეს თურმე, რომ თავის ცხენებს ველარ ცნობდნენ.

ფურაჟის ფული (ცხენის საკვების) დღემდინაც კი ეძლეოდათ თურმე ხაზინიდამ...

თოფი და წამალი მილიციას აქვს დარიგებული სეხელმწიფო. დღე არ გაეა ისე, რომ ხუთი ირემი ანუ შველი არ დაიჭირონ და თავის აფიცერს არ მიართვან.

ბარაკებისათვის ბევრი კერძო პირების ხე-ტყე მოუხმარიათ; მაგრამ ეს ბარაკები თურმე ათჯერ არის გადახდილი და გადეხურვილი. იქმნება მტერი გადმოდის, ღამით ხდის სახურავს და შინ მიაქვს!

ბევრმა მითხრა მრთელი აჭარლობა რომ გადმოსულიყო, იმდენ ზარალს არ მოგვცემდნენ, რამდენიც ამ ჩვენებურებისაგან ზარალი მოგვეცაო!..

N. N.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ედჰემ-ფაშის მიგიერად, ოსმალეთის მთავარ ვეზირად სულთანს ჰამდი-ფაშა დაუნიშნავს.

— ოსმალეთის ნაციონალურ კრებას ახალი სამინისტროსათვის მოუთხოვნია, რომ, სულთანის სიტყვის და-თანახმად მინისტრებმა შეადგინონ ახალი კანონები ოსმალეთში შემოსაღებად.

საფრანგეთი

რარიჟიდამ მოსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ ნაციონალურ კრებას თავის თავს მჯდომარედ ისევ შულ გრევი

ამოურჩევია და სენატსაც აგრეთვე ადრინდელი თავს-მჯდომა ჰერცოგი Ოდიჟ-ჟრე-პაკიე.

— Იტალიის კოროლის ვიქტორ-ემმანუელის სიკვდილს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პარიჟში და საზოგადოთ მთელს საფრანგეთში, რადგან, ამბობენ, რომ ახალი კაროლი Იტალიისა ბუმბეტი ბერმანიის თანამგრძნობი და მომხრე არისო.

ახალი ტაქსა ბირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ჟაეტონის	დროჟკის
ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80 „	50 „
— მუშტაიდამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 „	90 „
რკ. გზიდამ ნავთ.—2 „	— „	1 მან. 50 „
—დამოჟნამდინ— 1 „	50 „	1 „ — „
—ქალაქ. ყველგან 1 „	— „	— „ 70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80 „	— „ 50 „
— ნავთლუღიდამ 1 „	50 „	1 „ — „
რკინის გზამდინ და		
უკან — — —1 „	30 „	— „ 90 „

შენიშნვა ა). Ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნვა ბ). ნაშუაღამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ჟაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

ვისაც ჰსურს თავის რქიანი საქონელი და ღორები მარგებელი საკვებით ამოაჩინოს, შეუძლიან მიმართოს ბორჯომის არყის ზავოდში.

(3—1)

ქართული სახალხო სიმღერები
შეგროვილი და გამოცემული
ზაქ. ჭიჭინაძისაგან.
წიგნი პირველი.
ფასი ყველგან ერთი შაური

ჩაის მაღაზია

პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალავინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაედანზე, ტერასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი

რაჟდენ ბედინიძე

მერმის, 1878 წელხა

(დაარსებიდამ მეთერთმეტესა)

სასოფლო გაზეთი

ბამოვა იმგვარისვე პროგრამმით, როგორც აქამომდე გამოდიოდა, თვეში ორჯელ.

„სასოფლო გაზეთს“ ექმნება შემდეგი ნაწილები:

I მმართებლობის განკარგულებანი, რომელნიც სოფლის მმართელბლობას შეეხებიან. II ამბები წვრილი: მოსავლისა, ამინდისა, მეურნეობისა, ვაჭრობისა, სნეულობის გაჩენისა, პურის მაღაზიებისა, სასოფლო ბანკებისა, შკოლისა და სხვა ამგვარის. III წერილები (კოროესპონდენციები) სოფლებიდამ გამოგზავნილი იმავე საგანზე, რაც მეორე ნაწილშია მოხსენებული. IV სამეურნეო ნაწილი: შემუშავება მინდორ-ვენახისა, ბაღ-ბოსტნისა; პირუტყვის მოშენება და მოვლა; აღებმიცემა და ვაჭრობა სასოფლო მოსავლისა. V საექიმო ნაწილი: წამლობა ავათმყოფობისა, სწავლა ადამიანის ჯანმრთელობისა. VI პირუტყვის წამლობა. VII სასოფლო შკოლა: მმართებლობის განკარგულებანი შკოლის შესახები; სოფლის შკოლების მართვა, იმათი მდგომარეობა და გაუკეთესება. VIII სამეცნიერო ნაწილი: საზოგადოთ სასარგებლო ადვილათ გასაგონი ნაწერი სამეცნიერო სწავლიდამ. IX სალიტერატურო ნაწილი: მოკლე მოთხრობა, ამბავი, აღწერა და სხვა გასართობი და სასარგებლო საკითხავი. X განცხადებანი სავაჭრო და სხვა და სხვა.

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა—გაგზავნით ოთხი მანეთი, გაუგზავნელად სამი მანეთი; ნახევარის წლისა და სამის თვისა ამისავე მიხედვით.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „სასოფლო გაზეთის“ რედაქციაში, ანჩისხატის ეკლესიის პირ-და-პირ ხერხეულიძის სახლში.

ქალაქს გარეთ მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію „Сельской Газеты.“*

რედაქტორი და გამომცემელი პეტრე შმიკაშვილი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 7 იანვარს.		
ერთი ანეთი ღირს:		
ლონდონში 23 პენსი.	—	78
პარიჟში 256 სანტიმი.	—	62
ესკონტი (სარგებლისფასი)	7 1/2	—
ბანკის ბილეთი 5%	95	50
მოგებიანი (პირველისა)	229	25
მოგებიანი (მეორე სესხი)	226	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკი	85	25
მოსკოვის . .	85	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	527	—
კავკაზის და მერკურის	225	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 9 იანვარს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	20
ფქვილი წითელი . .	1	80
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი .	9	50
— ამერიკისა, ფუთი . .	10	—
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	12	—
მატყლი თუშური ფთ.	7	70
—თარაქამისა ფთ. .	4	60
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	5	90
ქონის სანთელი ფუთი.	7	80
სტეარინის სანთელი, ფ.	14	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
—ცხვრისა, ლიტრა .	—	72
სპირტი, გრადუსი .	—	15
შაქარი, ბროც. ფუთი .	9	20
—ფხვნილი ფუთი . .	8	40
ყავა გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	14	50
ოქრო 1/2 იმპერიალი. .	8	45

Дозволено цензурою Тифлисъ, 9 Января 1878 г. Типографія Меликова. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.